ბაზების ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

ლელო

№ 7
(11 566)

29 – 31 იანვარი, 2002 წ. ფასი 40 თეთრი

გამოდის 1994 წლის 13 აპრილიდან

ვერა, ვერ გვეუფლა...

უმოწყალო ქართველმა ხელბურთელებმა უშედეგოთ ბრძოლა გაუმართეს ჯგუფის ლიდერს. ავსტრიელებს შემდგომ ეტაპზე გასასვლელად მხოლოდ გამარჯვება აძლევდათ ხელს. პირველი ტაიმის მიხედვით, სტუმრები ამას კარგად ახერხებდნენ. ტაიმის ბოლო წუთებზე ავსტრიელები წინ გავიდნენ, შესვენებამ მათი სამ ბურთიანი უპირატესობა დაადაფქა რა 12:15.

მეორე ტაიმში თამაშის სურათი მკვეთრად შეიცვალა ჩვენი ნაკრების სასარგებლოდ. ველაშვილსა და კალანდაძის ჩინებული თამაშის წყალობით, მასპინძლებმა ჩამორჩენა გაანათლეს, 46-ე წუთისთვის კი ოთხი ბურთით დაწინაურდნენ 22-18 და მერე უპირატესობა მეტოქეს აღარც დაუთმეს, მოვიგეთ ერთი ბურთით 28:27

საქართველოს ხელბურთის უფედერაციის პრეზიდენტმა თენგიზ გაზდელიანმა მატჩის ბომბარდირი გელაშვილი ქართული ბანჯგლით დააჯილდოდა

ელდარ ბალანაზიშვილის ფოტო

ორი ტურით ადრე

ნონა გაფრინდაშვილის სახელობის ჭადრაკის სასახლეში დასასრულს უახლოვდება საქართველოს 2002 წლის პირველობის შესარჩევი ეტაპი ჭადრაკში. 7 ტურის შემდეგ შეჯიბრებას ორი ლიდერი ჰყავს — ბათუმელი ზვიად ქაშადაძე და თბილისელი გიორგი სულაშვილი, რომლებმაც ნინ ქულა მოაგროვეს (საინტერესოა, რომ ალნინშნული მოჭადრაკეები ერთმანეთს ჯერ კიდევ მეოთხე ტურში შეხვდნენ და პარტია სულაშვილმა მოიგო).

მესამე ადგილზეა თბილისელი ივერი ჯიღლაძე, რომელიც ლიდერებს მხოლოდ ნახევარი ქულით ჩამორჩება. 5-5 ქულით მეოთხე-მეთორმეტე ადგილებს იყოფენ ნიკოლოზ ჩხაიძე, მალხაზ სულაშვილი, ბელა ხოტენაშვილი, ზურაბ ნიკოლოშვილი, თამარ წერეთელი, ალექსანდრა ვახანია, ვახტანგ ნიზარაშვილი, ბაჩანა მორჩიაშვილი და დავით ზარქუა.

დღეს, ბოლოსწინა, მერვე ტურში ქაშადაძე თეთრი ფიგურებით ეთამაშება ჯიღლაძეს, ხოლო გიორგი სულაშვილი — ნიკოლოზ ჩხაიძეს.

თენგიზ ჩოგანიძე

რეალი – ბეტისი

ჩემპიონატები, თასები, შედეგები...

ბიბლიოთეკა

5

არსენალი – ლივერპული

ქვეყნები, თასები...

მილოცვა

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაბადების დღეს ულოცავს ნინო ხოსნოსნობაში ოლიმპიურ ჩემპიონს ვიქტორ ძრანტასიუკს.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაბადების დღეს ულოცავს ნინო ხოსნოსნობაში ოლიმპიურ ჩემპიონს ვიქტორ ძრანტასიუკს.

„ბორჯღალოსნები“ იწყებენ...

„ბორჯღალოსნები“ ევროპის ერთა თასის გათამაშებაში ასპარეზობას ჰოლანდიელებთან შეხვედრით იწყებენ

სორგელი

3 თებერვალს საქართველოს მორაგბეთა ნაკრები ევროპის ერთა თასის მორიგ გათამაშებაში ჩაებმება. სწორედ ამ დღეს „ბორჯღალოსნები“ ჰოლანდიის ნაკრებს მასპინძლობენ.

ეს შეჯიბრება ამავე დროს, მსოფლიოს თასის 2003 წლის გათამაშების შესარჩევი ეტაპის საკვალიფიკაციო ტურნირსაც წარმოადგენს. ფეხბურთლების თანახმად, ევროპის ერთა თასის შაბშანდელი და წლევანდელი გათამაშების შედეგების შეჯამების მიხედვით გამოვლენილი ორი საუკეთესო გუნდი, მომდინარე წლის შემოდგომაზე, მსოფლიო თასის გათამაშების შესარჩევ ეტაპზე გაგარძელებს ბრძოლას, კერძოდ, ისპარეზებს სამეგნლიან ჯგუფში, სადაც ორი საუკეთესო მოიპოვებს მსოფლიოს თასის 2003 წლის გათამაშების ფინალური ტურნირის საგზურს.

ევროპის ერთა თასის წინა გათამაშებაში საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა წარმატებით ისპარეზა ფარნი სპეციალისტის კლოდ სორელის თავკაცობით. „ბორჯღალოსნებმა“ გადამწყვეტ შეხვედრაში სტუმრად სძლიეს ფავორიტად შერაცხულ რუმინელთა გუნდს და სანუკვარი თასი დაისაკუთრეს.

გასული წლის შემოდგომაზე ქართველმა მორაგბეებმა კვლავ აალაპარაკეს სარაგბო სამყარო. ამხანაგურ მატჩებში ჯერ საფრანგეთის ძლიერი ნაკრები დაამარცხეს, შემდეგ კი დიდ წინააღმდეგობა გაუწიეს სამხრეთ

იხ. მე-2 გვ.

რობერტ ბაგოიანის ფოტო

ბავშვთა ფეხბურთი

„ნორჩი დინამელი“ – 1993 წლიანებს შორის ბ. ვესსის ხსოვნის ბურნირში გამარჯვებული

4

III ჯგუფი:

ავსტრია – საქართველო	30:21
ფინეთი – ჰოლანდია	26:23
საქართველო – ავსტრია	28:27
ჰოლანდია – ფინეთი	26:23

საპოლიო ცხრილი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ავსტრია	6	3	1	2	162:148	7
ფინეთი	6	3	1	2	148:147	7
ჰოლანდია	6	2	1	3	143:147	5
საქართველო	6	2	1	3	140:151	5

მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩი. 27 იანვარი. გივი ქარტოზიას სახელობის სპორტის სასახლე. 8 000 მაყურებელი.

საქართველო – ავსტრია 28:27

საქართველო: თევზაძე, ქობულაშვილი (2), ყიფიანი (2), ქარცივაძე, გვაზავა, ჭანტურია (1), კალანდაძე (8), ნიკოლაშვილი, გელაშვილი (10), ბოყოლაძე (3), ორკუნიკიძე (1), ფერაძე (1).

ავსტრია: ჰუმერი, ხილკი (4), ეროგესელი, გეროლინგერი (1) ვაინგა, ვიქსტრემი (4), სილაბე (7), გალინი (4), ბინდერი, გრაფი (4), ფიოლსენი (1), გიუნტერი (2).

მსაჯები: ტ. კოუზი, ვ. სკოა (ყველა – უკრაინა)

დელეგატი: ი. ტასკინარი (თურქეთი)

ვისკი, არაყი, ბანკი და ეკალა...

არა, საქმეოფად და ბევრი ფულის საშოვნელად ჯერ ვერ დგებატევთან, ეს მეოე იყოს, ჩვენებურთა მარიფათისა და იღბალის გათვალისწინებით. უბრალოდ, ერთი სიტყვით, მინდოდა საქართველოს ეროვნული ნაკრების მეტოქეთა დახასიათება, რომელიც პორტუგა გამართულმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის წილისყრამ გვაოგუნა. ხუთთუნდიან ჯგუფში ორი უცნობია, ორიც ნაცნობი, თანაც ისეთი ახლობელი, მეტი რომ არ შეიძლება, თუმცა, მოვყვეთ თანმიმდევრობით.

რა ვიცით ირლანდიის შესახებ? – ის, რომ შუაზე გაყოფილი, ჩვენსავით ტერიტორიაჩამორთმეული, სარაგბო და საფეხბურთო ქვეყანაა. ეროვნული ნაკრები კი საკმაოდ ძლიერი, თვითმყოფადი, უკომპრომისო და მებრძოლი ჰყავთ ბრიტანელებს. ამაში რომ დავიწმუნდეთ, ზორს წასვლა და აჩქეთის ქექვა საჭირო არ არის. საკმარისია გადავხედოთ წლევანდელი მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის შედეგებს. გუნდი, რომელიც ჯგუფში არ დამარცხდებს, გაუტოლდება პორტუგალიას და უკან ჩამოტოვებს ვარსკვლავებით გაძეძგილ ჰოლანდიას, ხოლო ევროპის პირველობის შესარჩევ ციკლში ჯგუფში პირველ ნომრადაა გასთვისული, მაროლაც ძლიერია. ფეხბურთელებს არ ეკითხავთ? რი კინი „მანჩესტერ იუნაიტედის“ კაპიტანი და ახალგაზრდა, მისი მოგვარე რობი კინი „ლიდსის“ წამყვანი ფეხბურთელი. ინგლისის პრემიერ-ლიგაში გამოარჩევდნელ ირლანდიელ ფეხბურთელთა ჩამოთვლა კიდევ შეიძლება... და მთავარი მწვრთნელი, მიკ მაკარტი, რომელმაც ექვსწლიანი შრომით მოახერხა და ნაკრები კორეა-იაპონიის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გიიყვანა.

რუსები ფეხბურთშიც მოგვეძალებიან. უეჭველია, ჯგუფში პირველობისთვის იბრძოლებენ სლავები, მით უმეტეს მაშინ, როცა იქაური პრესა თუ ტელევიზია ერთხმად და ნიშნის მოგებითაც კი გაიძახის, წილისყრამ ნაღდად გაგვმართლაო. რა გამოარჩევს რუსეთის ნაკრებს მეტოქეთაგან? უპირველესად კარგი მწვრთნელი და სტაბილური შემადგენლობა, ახლო ნაცნობობა და არამარტო საფეხბურთო, საქართველოსთან, აგრეთვე შარშანდელი წარმატებული შედეგი მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე, როდესაც თითქმის უარობლემოდ დაამარცხა შეეიცარიის ნაკრები და ჩამოიტოვა სლოვენია და ოუგოსლავია, გუნდი, რომელიც დარწმუნებულია საკუთარ სიძლიერეში, ხოლო მწვრთნელი ერთმნიშვნელობენად აცხადებს, რომ მხოლოდ პირველი ადგილი დაკაბაყოფილებს.

შვეიცარია დაწყობილ-დალაგებული, მდიდარი ბანკებით სავსე, სამი სახელმწიფო ენის მქონე ნეიტრალური

იხ. მე-3 გვ.

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შედეგად გარდაიცვალა ვეტერანი ფეხბურთელი

ლევან ჭორდანია

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ვეტერანი ფეხბურთელის

ლევან ჭორდანიას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.



ZOMBAVAL OLIMPIURI TAMASEBAMDE 2 WELIWINADI DA 7 TVE DARCHA

ZAMTRIS XIX OLIMPIURI TAMASEBIS 10 DRO GASAWRCHAS

8–24 IANVARI 2002 W.

მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს, საქართველო – ქართულ სპორტს!

პრესკონფერენცია სოლტ-ლეიკ-სიტში გამგზავრების წინ

მესამე ოლიმპიადაზეც მივდივართ!..

სახელმწიფო მინისტრის ავთანდილ ჯორბენაძისა და ფინანსთა მინისტრის ზურაბ ნოღაიდელის კეთილი ნების გამოხატვის შედეგად, საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა 110 ათასი ლარი მიიღო ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში ჩვენი სპორტსმენი დელეგაციის დასაფინანსებლად.

ცოტაა ეს თანხა თუ ბევრი? რა თქმა უნდა, ცოტაა, შეიძლება ითქვას, მიზეურული. შედარებისთვის ვიტყვით, რომ რუსეთის ნაკრების წევრთა მარტო ეკიპირებისათვის, სახელმწიფომ 2 მილიონამდე დოლარი გამოყო, ანუ 10 ათასი დოლარი დელეგაციის თითოეულ წევრზე. ჩვეთთან კი თითოეულისთვის – 600 დოლარი. თანაც ეს მონაყალება მოსკოვში მომუშავე ქართველმა ბიზნესმენებმა გაიღეს.

ამ და სხვა ფაქტებზე იყო ლაპარაკი გუშინ საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში გამართულ პრესკონფერენციაზე, რომელიც მიეძღვნა სოლტ-ლეიკ-სიტში ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე საქართველოს დელეგაციის გამგზავრებას.

მთავარი თემით ჟურნალისტების წინაშე წარსდგა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი, ჩვენი ქვეყნის სპორტის ზამთრის სახეობების ფედერაციის პრეზიდენტი გოგი თოფაძე. უპირველესად მან ჩვენი სპორტსმენების ვინაობა გააცხო შეკრებილთ. თქვა, რომ ორმა სამთო მთიხილაურემ სოფიო ამბატელმა და რობერტ მახარაშვილმა, ტრამპლინინგან მხტომელმა კახაბერ ნაქაძემ და ფიგურულ სრიალში ვახტანგ მურვანიძემ ურთულეს პირობებში მოიპოვეს ოლიმპიადის ლიცენზიები, რაც ბევრი ქვეყნისთვის მიუწვდომელი ოცნება გახდა.

კითხვაზე, თუ რა შანსი აქვთ ჩვენს ოლიმპიელებს, გოგი თოფაძემ უპასუხა, რომ მედლის მოპოვება მხოლოდ სურვილად რჩება. ჩვენი მხრიდან დილეტანტიზმი იქნება მედლებზე ფიქრი. „ჩვენი მთავარი ამოცანა ამ ოლიმპიურ ციკლში იყო გადაგვეჭრინა სპორტის ზამთრის სახეობები და არ ჩამოგშორებოდით ოლიმპიურ მოძრაობას. ეს შევძელით, რაშიაც დიდია სეოკ-ის პრეზიდენტის ჯანსუფ ბაგრატიონისა და გენერალური მდივნის ემზარ ზენაიშვილის დამსახურება. ასეთი ერთობლივი გარჯით შვეიცარიზუნეთ ჩვენს ქვეყანაში სპორტის ზამთრის სახეობებისა და ტურიზმის შემდგომი განვითარების პერსპექტივა. ჩვენი სპორტსმენები ნელინადში 8-9 თვე უცხოეთში ემზადებიან, რადგან ვერ მოხერხდა ბაკურიანაში შესაბამისი პირობების შექმნა, მწყობრიდანაა გამოსული ერთ დროს უნიკალური ტრამპლინინგ. ყოველივე ეს ხელს უშლის პერსპექტიულ მოზარდთა დაოსტატებას. მხოლოდ ნაკრების დონეზე სპორტის ამა თუ იმ სახეობის შენარჩუნება, საბოლოო ჯამში კარგს არაფერს მოიტანს“ – თქვა გოგი თოფაძემ და იქვე დასძინა, რომ ოლიმპიადაზე ასპპრეზობის შესაბამისი ნორმატივი ჩვენმა ორმა გოგონამ და ერთმა ყაჩუმამ შეასრულა, რომლებიც ძირითადად ასევე უცხოეთში ემზადებიან, მაგრამ ისინი ჯერ 16 ნლისნი არ არიან და უფლება არ აქვთ გამოვიდნენ ოლიმპიურ თამაშებში.

ჯაკო ბაგრატიონი: „სახელმწიფოს მხრიდან ზამთრის სახეობების განსავითარებლად დაფინანსება ძალზე ცოტაა. ამ ოლიმპიურ ციკლში, ანუ გასულ ოთხ წელინადში, ბიუჯეტიდან მხოლოდ 64 ათასი ლარია მიღებული. მადლობა სახელმწიფო მინისტრს ავთანდილ ჯორბენაძეს და ფინანსთა მინისტრს ზურაბ ნოღაიდელს, თამაშებისთვის 110 ათასი ლარის გამოყოფა რომ დროულად მოხერხდა. დიდი მადლობა გოგი თოფაძეს, რომელმაც ყველაფერი გააკეთა, რათა ზამთრის ოლიმპიადაზე საქართველოს დროშა კვლავ აფრიალდეს. აქვე ვიტყვით, რომ ჩვენი მეზობლები – აზერბაიჯანი და სომხეთი სხვა ქვეყნის ნაკრებიდან ამოავარდნილ სპორტსმენებს „ფიფულოზენ“, რომ თამაშებში გამოჩნდნენ. მადლობა ირაკლი ჯაფარიძეს, რომელმაც თავისი კონტაქტებით დიდი დამხმარება გაგვიწია ვახტანგ მურვანიძის მომზადებაში და ბევრი ორგანიზაციული საკითხის მოგვარებაში. შედეგებს რაც შეეხება, მიმაჩნია, რომ თუ ჩვენი რომელიმე სპორტსმენი მოხვდება 30 მონაწილეს შორის, ფრიალო არ იქნება“.

ირაკლი ჯაფარიძე – საქართველოს სპორტული დელეგაციის მისიის ხელმძღვანელი ოლიმპიურ თამაშებში: „დიდი მადლობა ყველას ასეთი მაღალი ნდობისათვის. მინდა ყველამ იცოდეს თუ რა ძნელი იყო ქართული სპორტის ისტორიაში მოგვეპოვებინა ფიგურული სრიალში პირველი ოლიმპიადის მონაწილეობის უფლება. განსჯისთვის გეტყვით, რომ ფიგურული სრიალში ოლიმპიური საგზურის გარეშე დარჩნენ ისეთი ქვეყნები, როგორიცაა დიდი ბრიტანეთი, ავსტრია, ჩეხეთი, სლოვაკეთი და ა.შ. იმასაც ვიტყვით, რომ ოლიმპიადის ამ პროგრამაში საასპპრეზოდ ოლიმპიურ სარბიელზე დაუშვეს მხოლოდ მსოფლიოს 30 უძლიერესი სპორტსმენი. თუ მურვანიძე 24 ფინალისტში გააღწევს, ჩავთვალ, რომ კარგ შედეგს მივაღწიეთ.

ნამდვილად დიდი სირცხვილი იქნებოდა უსახსრობის გამო გგეთქვა უარი ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობაზე. როგორც იცით, სოკ-ს ახალი პრეზიდენტი ჰყავს, ჯაკ როგი. თითოეული ქვეყნის მონაწილეობა თამაშებში ისი თანადგომაცაა და მხარდაჭერაა ოლიმპიადის მასპინძელი ქვეყნისთვის, რომელიც 11 აგვისტოს ტერიტორების შემდეგ თამაშების ჩაშლის დიდი საფრთხის წინაშე აღმოჩნდა“.

ემზარ ზენაიშვილი: „მინდა დიდი მადლობა ვუთხრა მოსკოვში მომუშავე ქართველ ბიზნესმენებს პეტრე ცანავას და თემურ გუგუბერიძეს დახმარებისათვის. დიდი მხარდაჭერა აღმოგვიჩინა აკიაკომპანია „აირზენა“ – „საქართველოს ავიახაზებმა“ და პირადად კახი ასათიანმა. ასეთი ადამიანების თანადგომის გარეშე ნამდვილად გაგვიჭირდებოდა დამოუკიდებელი საქართველოს სახელით მესამედ მიგველო მონაწილეობა ზამთრის ოლიმპიადაში“. კითხვაზე, მიიგზავნება თუ არა თამაშებზე პროფესიონალი ტელეოპერატორი, ე. ზენაიშვილმა უპასუხა, რომ ეს რთული საკითხია, რადგან წინდაწინაა შესასყიდი გადაღების უფლება, რაც ოლიმპიური თანსა ჯდება. სეოკ-ს არ შეეძლო გადაღების უფლების შესყიდვა ფინანსური ხელმოკლეობის გამო.

პრესკონფერენციაზე დასახელდნენ აგრეთვე ისინი, ვინც ბიუჯეტისა და არასაბიუჯეტო სახსრებით ოლიმპიადაზე მიემგზავრებიან. „ლელო“ მათი ვინაობა ადრე გაიცო დაინტერესებულ მეთვალყურეთა. ახლა მხოლოდ იმას დავძენთ, რომ ამ ოლიმპიურ თამაშებში, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის სტატუსით წარმოდგენილი იქნება სეოკ-ის ვიცე-პრეზიდენტი გოგი თოფაძე.

თ. თოფაშვილი

„ბორჯღალოსნები“ იწყებენ...

(პირველი გვერდიდან)

აფრიკელებს.

ასეთი წარმატების ფონზე, სრულიად არ იყო მოულოდნელი რაგბის საერთაშორისო კავშირის მიერ მსოფლიოს 2001 წლის საუკეთესო მწვრთნელად აღიარეს, ხოლო საუკეთესო გუნდად საქართველოს მორაგბეთა ნაკრები სცნეს.

– ასეთი აღიარებით დიდ პასუხისმგებლობას ვგრძნობ, – განაცხადა კლოდ სორელმა, – მჯერა, რომ ქართველი მორაგბეები არ შეირცხვენენ თავს მსოფლიო თასის გათამაშებაშიც, რომელისთვისაც სერიოზულად ვემზადებით. საფრანგეთისა და სამხრეთ აფრიკის გუნდებთან შეხვედრები ბიჭებს გამოცდილების მიღებაში დაეხმარა. ორივე მატჩმა დაგვანახვა, რომ ქართველებს ნებისმიერი ძალის მეტოქესთან ბრძოლა ძალუძთ.

უნდა ითქვას, რომ საქართველოს მორაგბეთა ნაკრებს ევროპის ერთა თასის წმენდანდელ გათამაშებაშიც წარმატების დიდი შანსი აქვს, მით უმეტეს, თუ ქართველი მორაგბეები შინ ჩაატარებენ შეხვედრებს ძირითადი

ვუდალ ბალანა ზაზეულის ფოტო

ველი მორაგბეები. ამიტომაც უმაგალითოა სიფარულითაა გარემოსილი ვინც ახლის იენობს ბატონ შოთას, იცის, რომ ეს არის უკეთილშობილესი, ალაფმარული და სიტყვის კაცი. ოჯახიც სანმიერში ჰყავს. ქალიშვილი დარეგანი ფედიკინის დარგში მოღვაწეობს. სიყვარულით შეჰხარის შვილიშვილს და

შოთა გელოვანი

შვილთაშვილებს. ამ პირვენებაზე და მის ნაღვაწზე, უსასრულოდ შეიძლება ლაპარაკი და მაინც, ბოლოდგი ვერ ითქვამს, რასაც იმსახურებს.

ზარშან დაჯილდოვდა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის საპატიო დიპლომით ოლიმპიზმის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის.

აფხაზეთის განათლების სამინისტროს კოლეკტივი, სპორტული საზოგადოება, თქვენი მეგობრები და კოლეგები გიოლაცავთ საიუბილეო თარიღს, გისურვებთ ჯანმრთელობას, მხნეობას და ახალ წარმატებებს განათლების სისტემისა და მოლიანად სამშობლოს საკეთილდღეოდ.

და ბოლოს, ბატონო შოთა, თქვენი მომავალი დაბადების დღე აღვენიშნოს ჩვენს კერაზე — სოხუმში. თქვენივე ხელით დაწერული ინაბეკოს ნაკერით სავსე ყინწით დაგვლოლიოს თქვენი თავი, ჩვენი ბაღრატუნება.

იცოცხლეთ და იდღეგრძელეთ!

ბოდბრძე შუბლაია,
აფხაზეთის აარ განათლების სამინისტრო

ამაგდარი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სამინისტროს ფაულმოსილი მუშაკს, ფიზიკურიდისა და დაფენილი სამხედრო სწავლების სპეციალისტს შოთა გელოვას დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა.

ძნელად თუ მოიძებნება პიროვნება 80 წლის ასაკშიც კი, ინსტიტუტის დამთავრებიდან 50 წელი ემსახუროს ერთ საქმეს – ფიზიკურ-ტექნიკურ სპორტ და განელის დიდი გზა მასწავლებლიდან აფხაზეთისა და საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკის წოდებამდე.

შოთა გელოვას შრომა და ცხოვრება მოლიანად დაკავშირებულია აფხაზეთის სპორტთან და, ბუნებრივია, მისი დიდი წვლილია იმ წარმატებებში, რასაც აფხაზეთში აღზრდილმა სპორტსმენებმა მიაღწიეს აოწლეულების მანძილზე.

მეორე მსოფლიო ომმა შეწყვიტა მისი სტუდენტობის პერიოდი. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, 1951 წელს, მუშაობას იწყებს აფხაზეთის განათლების სამინისტროს დაწყებითი სამხედრო და ფიზიკური აღზრდის მეთოდისტად. შემდეგ ახალგაზრდა საშუალო სკოლაში იღვაწა. შემდეგ სოხუმის რაიონის „ოლიმეიურნეს“ თავმჯდომარედ აირჩიეს, სადაც 16 წელიწადზე მეტი დაპყო.

შოთა გელოვას ცხოვრებაში ომების ძმიმე დღეებს ეკავა ალადგილი ასევე. მეორე მსოფლიო ომში საკუთარი ხელით მიაბარა უკანინის მიწას ძმა — აკაკი გელოვა. აფხაზეთის ომის დროს მოწინააღმდეგის ჯეიტს შეეწინააღმდეგის ბრძოლებში მიიღო ძმიმე ჭრილობა. როგორც აფხაზეთის ყველა მკვიდრმა, მრავალი ტანჯვა გადიტანა დევნილობაში ოჯახთან ერთად. 1996 წლიდან ისევ შეუდგა პედაგოგიურ საქმიანობას თბილისში, აფხაზეთის განათლების სამინისტროში, დაწყებითი სამხედრო სწავლებისა და ფიზიკურიდის სპეციალისტად განაგრძობს მუშაობას.

ბატონი შოთა დიდი სულისა და განუმეორებელი შინაგანი სამყაროს პიროვნებაა, ამიტომაც უმაგალითოა. სიფარულითაა გარემოსილი ვინც ახლის იენობს ბატონ შოთას, იცის, რომ ეს არის უკეთილშობილესი, ალაფმარული და სიტყვის კაცი. ოჯახიც სანმიერში ჰყავს. ქალიშვილი დარეგანი ფედიკინის დარგში მოღვაწეობს. სიყვარულით შეჰხარის შვილიშვილს და

შოთა გელოვანი

შვილთაშვილებს. ამ პირვენებაზე და მის ნაღვაწზე, უსასრულოდ შეიძლება ლაპარაკი და მაინც, ბოლოდგი ვერ ითქვამს, რასაც იმსახურებს.

ზარშან დაჯილდოვდა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის საპატიო დიპლომით ოლიმპიზმის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის.

აფხაზეთის განათლების სამინისტროს კოლეკტივი, სპორტული საზოგადოება, თქვენი მეგობრები და კოლეგები გიოლაცავთ საიუბილეო თარიღს, გისურვებთ ჯანმრთელობას, მხნეობას და ახალ წარმატებებს განათლების სისტემისა და მოლიანად სამშობლოს საკეთილდღეოდ.

და ბოლოს, ბატონო შოთა, თქვენი მომავალი დაბადების დღე აღვენიშნოს ჩვენს კერაზე — სოხუმში. თქვენივე ხელით დაწერული ინაბეკოს ნაკერით სავსე ყინწით დაგვლოლიოს თქვენი თავი, ჩვენი ბაღრატუნება.

იცოცხლეთ და იდღეგრძელეთ!

ბოდბრძე შუბლაია,
აფხაზეთის აარ განათლების სამინისტრო

«მხიარული დელფინი»

„ლელოს“ წინა ნომერში გამოვაქვეყნეთ ინფორმაცია მოცურავეთა წლევანდელი პირველი შეჯიბრების თაობაზე. დღეს გთავაზობთ გამარკვევებულთა და პრიზიორთა სრულ შემადგენლობას. „მხიარული „დელფინი“. I ეტაპი. ღიღმის მასივის ფახურეული საცურაო აუზი.

ქალაქ ხლებადი. გოგონები: 50 მ. თავისუფალი სტილი. **I.** ეკა კაკახიძე, 2. მარი ჯანდიერი, 3. თამუნა ეიფელაშვილი; *პრიზი:* 1. ნინო ერისთავი, 2. ნატალია ნენია, 3. თამუნა ეიფელაშვილი; *ბატერფლაი:* 1. ეკა კაკახიძე, 2. ნანა ვეფხვაძე. *ბულაღმა.* 1. მარი ჯანდიერი, 2. სანინა ალიევა, 3. ნინო ერისთავი. *100 მ. თავისუფალი სტილი:* 1. ანა ინწკირველი, 2. ანა გოდერძიშვილი, 3. ნინელი ხოჯაშვილი. *ბულაღმა:* 1. ნათია ჭელელიძე, 2. ია ბარბაკაძე, 3. ეკა ჭელელიძე; *პრიზი:* 1. ანა კინწკირაშვილი. 2. ანა გოდერძიშვილი, 3. ნინელი ხოჯაშვილი. *ბატერფლაი:* 1. ეკა ჭელელიძე, 2. ია ბარბაკაძე, 3. ნინელი ხოჯაშვილი. *ბიუნი. 50 მ. თავისუფალი სტილი:* 1. ლუკა გამფოლიანი, 2. გიგი მიფრალეშვილი, 3. ანამ ქონარიანი. *პრიზი:* 1. ლუკა გამფოლიანი, 2. ლევან ოსიეაშვილი, 3. ზურაბ ადამაშვილი. *ბატერფლაი:* 1. გიგი მიფრალეშვილი, 2. თინინელე გაგოშვილი, 3. ანამ ქონარიანი. *ბულაღმა:* 1. თინინელე გაგოშვილი, 2. ლევან ოსიეაშვილი, 3. ირაკლი ჩიქოვანი. *100 მ. თავისუფალი სტილი:* 1. ირაკლი რევიშვილი, 2. სოსო ვეშპაიძე, 3. ირაკლი ლოლიაშვილე. *ბულაღმა:* 1. ალეკსანდრე ნემსაძე, 2. სოსო ვეშპაიძე, 3. ილია მაჭაკაძე. *პრიზი:* 1. ილია მაჭაკაძე, 2. ირაკლი ლოლიაშვილე, 3. თინინელე თეკლაძე. *ბატერფლაი:* 1. ირაკლი რევიშვილი, 2. დავთ ოქროპირიძე, 3. გიორგი ჩიმაკაძე.



ვისკი. არაყი. ბანკი და ეკალა...

(პირველი გვერდიდან)

რი ქვეყანაა, რომელიც ალბათ, მხოლოდ სპორტულ გამარჯვებებზე უნდა ფიქრობდეს. ფეხბურთში დიდი წარმატებებით ვერ დაიკვეხნის, ნაკრები ხშირად არასტაბილურად თამაშობს, თუმცა საწყის ეტაპზე ყოველთვის ამბიციურობით გამოირჩევა და არაერთხელ ყოფილა მსოფლიო ფეხბურთის დიდი ფორუმის ფინალური სტადიის მონაწილე, მისი ძალის გაუთვალისწინებლობა ნებისმიერი ნაკრებისთვის დამარცხების მომასწავებელია.

და, ალბანეთი... ბომბებისგან თავშესაფრების, „ამბრაზურებისა", სარეველა ბალახად მოჩნეული ეკალას, ისანსდერისა და ენვერ ხოჯას სამშობლო ქართველებს დამოუკიდებლობის ათი წლის განმავლობაში საფეხბურთო მინდორზე არაერთხელ დაპირისპირება. ალბათ, ჩვენი გუნდის აგკარგს ისე არავინ იცნობს, როგორც ალბანელები, რომელთა ეროვნული გუნდი შესამჩნევ პოოკრეს განიცდის წლიდან-წლამდე და მეტოქეთათვის სულ უფრო ანგარიშგასაწევ ძალად ყალიბდება.

რა უპირატესობა უქნება ქართველთა ეროვნულ გუნდს საშემოდგომო შესარჩევი ეტაპის დასაწყისისთვის? უპირველესად ის, რომ ჩვენი ნაკრების თავკაცი ალექსანდრე ჩიკაძე თავად ახალგაზრდა ფეიერტების პაექრობას, ჯერ დუბლინში, ირლანდია – რუსეთის 13 თვმეტრედის ამხანაგურ მატჩში, მერე კი მათ გამოსვლას წლეანდელ მსოფლიო ჩემპიონატზე. დუბლინშივე შედგება ფეიერაცდათა თავკაცებისა და მწვრთნელთა თავყრილობა, სადაც ეროვნის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის ჩვენი ჯგუფის კალენდარიც შეიძლება დადგინდეს. მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ, არავინ იცის, რა ცვლილებები მოხდება გუნდებში, როგორი იქნება მათი გაწყობა. შეიძლება შეიცვალოს მწვრთნელებიც და ნაკრებთა შემადგენლობაც შესამჩნევად გადახალისდეს. თუმცა უცვლელი, ალბათ ხუთივე ნაკრების ეფროსის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ასპარეზობის სურვილი იქნება. ალექსანდრე ჩიკაძეს ზურგს უმაგრებს ნაკრებში არსებული ამაღლებული განწყობა, შარშანდელი სეზონის კარგი დასასრული. მისი თავკაცობით მიღწეული სამი გამარჯვება და ერთი ფრე ოთხ მატჩში, მრავალს მეტყველია. ოსტატს სჯერა თავისი შეგირდების, მათ კი მწვრთნელის ცოდნისა, ავტორიტეტისა და იდეალისა, რომელიც ასე საჭიროა მოქმედებელ შესარჩევ მარათონში. ჩიკაძე მეორედ ჩაუდგა ეროვნულ ნაკრებს სათავეში. პირველი იანვრიდან იგი ოფიციალურად ვაუძღვება ეროვნულ გუნდს. მისი პირველი შეხვედრა ნაკრებთან ასევე ეფროსის ჩემპიონატის (ევრო 96-ის) შესარჩევ ეტაპს დაემთხვა. 1994-95 წლებში. მართალია, ნაკრები ფინალურ ეტაპზე ვერ მოხვდა, მაგრამ იმ ციკლში ჩვენმა გუნდმა ვერშანიისა და ბულგარეთის შემდეგ ჯგუფში ბრონზე დაიკავა და შესარჩევ მატჩებში ჯერეკერობით საუკეთესო შედეგი აჩვენა – 10 მატჩი, 5 მოგება, 5 წაგება, ბუთთების შეფარდება 14-13 და 15 ქულა. სულ ფდეშე ნიკაძის ხელმძღვანელობით ნაკრებს 1993-96 და 2001 წლებში ჩატარებული აქვს 28 მატჩი, 12 მოგება, 2 ფრე, 14 წაგება, ბუთთების სხვაობა 34-37. ამ მაჩვენებლების გამოსწორებას შანსი ნიკაძისაც და ნაკრებსაც წლეუფლ მიეცემა.

პორგუგალია 2004

ევროკის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

I ჯგუფი	II ჯგუფი
საფრანგეთი	რუმინეთი
სლოვენია	დანია
ისრაელი	ნორვეგია
კვიპროსი	ბოსნია
მალტა	ლუქსემბურგი

III ჯგუფი	IV ჯგუფი
ნეიდეთი	შვეიდეთი
ჰოლანდია	ჰოლანდია
ავსტრია	უნგრეთი
ბელარუსი	ლატვია
მოლდოვა	სან მარინო

V ჯგუფი	VI ჯგუფი
გერმანია	ესპანეთი
შოტლანდია	უკრაინა
ისლანდია	საბერძნეთი
ლიტვა	ჩრ. ირლანდია
ფაროერები	სომხეთი

VII ჯგუფი	VIII ჯგუფი
თურქეთი	ბელგია
ინგლისი	ხორვატია
სლოვაკეთი	ბულგარეთი
მაკედონია	ესტონეთი
ლიხტენშტეინი	ანდორა

IX ჯგუფი	X ჯგუფი
იტალია	ირლანდია
იუგოსლავია	რუსეთი
ფინეთი	შვეიცარია
უელსი	**საქართველო**
აზერბაიჯანი	ალბანეთი

შესარჩევი ეტაპის მატჩები. 2002 წელი: 7-8 სექტემბერი, 12-13 ოქტომბერი, 15-16 ოქტომბერი; 2003 წელი: 29-30 მარტი, 1-2 აპრილი, 7-8 ივნისი, 10-11 ივნისი, 6-7 სექტემბერი, 9-10 სექტემბერი, 11-12 ოქტომბერი; პლეიოფები: 2003 წლის 15-16 ნოემბერი და 18-19 ნოემბერი.

ფინალური ეტაპი 2004 წლის 12 ივნისს დაიწყება და 4 ივლისს დასრულდება.

2002-03 წლების ევროპის ჩემპიონატის ახალგაზრდული ფინალი 17 წლამდე ნაკრებებს შორის.

I ჯგუფი	II ჯგუფი
ბელგარეთი	ხორვატია
ლატვია, ანდორა, იტალია;	ბელარუსი
	III ჯგუფი
	ისრაელი, ისლანდია, სომხეთი, შვეიცარია;
	IV ჯგუფი
	ნეიდეთი, ბელგია;
	V ჯგუფი
	ნორვეგია, უელსი, ბოსნია, ლუქსემბურგი;
	VI ჯგუფი
	ავსტრია, მაკედონია, ფაროერები, რუმინეთი;
	VII ჯგუფი
	საბერძნეთი, ლიხტენშტეინი, მოლდოვა, სლოვაკეთი;
	VIII ჯგუფი
	საფრანგეთი, სლოვენია, ირლანდია. „ეიმანია";
	IX ჯგუფი
	შვედეთი, მალტა, ჩრ. ირლანდია, დანია;
	X ჯგუფი
	ჰოლანდია, ალბანეთი, სან მარინო, ლიტვა;
	XI ჯგუფი
	შოტლანდია, უკრაინა, აზერბაიჯანი, თურქეთი.

ეროვნულ ადგილზე გასული გუნდები ითამაშებენ მეორე შესარჩევ ეტაპზე, მეორე ეტაპზე პირდაპირ მოხვდნენ – ესპანეთი, რუსეთი, ფინეთი, ჰოლლანდია, უნგრეთი და ინგლისი.

ნაკრებები დაიყოფიან ჯგუფებად, გამარჯვებულები ითამაშებენ ფინალურ ეტაპზე, სადაც ავტომატურად დაუშვებს მასპინძელი – პორტუგალიის ნაკრები.

2002-03 წლების ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპი 19 წლამდე ნაკრებებს შორის.

I ჯგუფი:	
იტალია, სომხეთი, ლიტვა, სლოვაკეთი;	
	II ჯგუფი
	ბელარუსი, შვეიცარია, ფინეთი, ხორვატია;
	III ჯგუფი
	რუმინეთი, მოლდოვა, მაკედონია, ინგლისი;
	IV ჯგუფი
	ფინეთი, ლატვია, თურქეთი, ჰოლანდია;
	V ჯგუფი
	ისრაელი, აზერბაიჯანი, სან მარინო, გერმანია;
	VI ჯგუფი
	შვეიცარია, ბულგარეთი, ესტონეთი, დანია;
	VII ჯგუფი
	ნორვეგია, მალტა, კვიპროსი, ბოსნია;
	VIII ჯგუფი
	ბელგია, **საქართველო**, ფაროერები, უკრაინა.

გამარჯვებულები ითამაშებენ მეორე შესარჩევ ეტაპზე, სადაც საკალიფიკაციო ეტაპის გაუფლელად დაუშვებ – ნეიდეთი, ესპანეთი, პორტუგალია, ირლანდია, ავსტრია და საბერძნეთი, მეორე ეტაპის გამარჯვებულები მასპინძელი – ლიხტენშტეინთან ერთად ითამაშებენ ფინალურ ეტაპზე.

2004 ფლების ევროკის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

I ჯგუფი	
საფრანგეთი, სლოვენია, ისრაელი, კვიპროსი, მალტა;	
	II ჯგუფი
	რუმინეთი, დანია, ნორვეგია, ბოსნია, ლუქსემბურგი.
	III ჯგუფი
	ჩეხეთი, ჰოლანდია, ავსტრია, ბელარუსი, მოლდოვა
	IV ჯგუფი
	ესპანეთი, ბელგია, ფინეთი, ლატვია, სან მარინო
	V ჯგუფი
	გერმანია, შოტლანდია, ისლანდია, ლიტვა.
	VI ჯგუფი
	ესპანეთი, უკრაინა, საბერძნეთი, ჩრ. ირლანდია, სომხეთი.
	VII ჯგუფი
	თურქეთი, ინგლისი, სლოვაკეთი, მაკედონია, პორტუგალია.
	VIII ჯგუფი
	ბელგია, ხორვატია, ბულგარეთი, ესტონეთი, ანდორა.
	IX ჯგუფი
	იტალია, იუგოსლავია, ფინეთი, უელსი, აზერბაიჯანი.
	X ჯგუფი
	ირლანდია, რუსეთი, შვეიცარია, **საქართველო**, ალბანეთი.

ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში არ მონაწილეობენ ანდორა, ფაროერები და ლიხტენშტეინი; დამატებითი ეტაპისყრით პორტუგალია მე-7 ჯგუფში მოხვდა.

დიალოგაზია ბასრი იარაღია

საქართველოს ეროვნული ნაკრები ევროპის პირველობის შესარჩევ ეტაპზე მესამედ ითამაშებს და ზედიზედ მესამედ ჯგუფში მისი მეტოქე ალბანეთის ნაკრები იქნება. დანარჩენ მეტოქეებს ოფიციალურად პირველად დავუპირისპირდებით, თუ არ ჩავთვლით რუსებთან ჩატარებულ ოთხ წლისწინანდელ ამხანაგურ მატჩს. მეტოქეთა გუნდების მწვრთნელები, წესისამებრ ფიალმატეულ ეტიკეტს იცავენ და ჯგუფში ძალთა შეფარდებას თითქმის ერთნაირად აფასებენ.

ოლეგ რომანცევი (რუსეთი): „ქართველებთან პაექრობა დამამახსოვრდა ნაკრებში ეფრეტ ბულგარეთ. ჯგუფში სუსტი მეტოქე არ გვყავს. ფავორიტებად მაინც რუსეთს და ირლანდიას მივიჩნევ, თუმცა არავისთან მოდუნების უფლება არ გვექნება".

მიკ მაკარონ (ირლანდია): „უფრო ოფლ ჯგუფს ველოდი, მაგრამ რა გაეწყობა, ყველასთან მაქსიმალური ძალით მოგვიწევს თამაში. ქართველებს არ ვიცნობ, ალბანელებს სუსტი გუნდი ნამდვილად არ ჰყავთ. თავისი ძალის დემონსტრირებას და დამტკიცებას ელვეს შეეცდებიან".

იაკობ ჯენი (შვეიცარია): „მაღალი დონის გუნდებთან მოგვიწევს ჭიდილი. ფავორიტი რუსეთია, ალიერია ირლანდია, ალბანეთის და საქართველოს პატივისცემით ვეპყრობი. ჯგუფში ოფლი მატჩები არავის ექნება".

სულეიმან დემოლარი (ალბანეთი): „თანაბარძალოვანი ჯგუფია. მეტოქეთა შორის განსხვავება თითქმის არ არის. თავისებურად ყველა ძლიერია. მეტოქეთაგან ყველაზე უკეთ, რა თქმა უნდა, ქართველებს ვიცნობ, მათ წინააღმდეგ მინდოდა მთამაშია. ვეცდებით ნეკნი შესაძლებლობები სრულად გამოვავლინოთ".

ალექსანდრ ბოსტოფი (რუსეთის ნაკრების წარყვანი ფეხბურთელი): „ჯგუფში ყველაზე რთული მატჩები ქართველებთან გვექნება. კარგად მახსოვს თბილისში გამართული შეხვედრები ფინეთ ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის პირველობებზე. საქართველოს ნაკრებთან ორივე მატჩი თბილისშიც და მოსკოვშიც საეს ტრიბუნებს ბარეშოცვაში ჩაიელის, აჟეოტები დიდი იქნება, ისეთივე, როგორიც უარანილელებთან დაპირისპირებისას ვგვქონდა. მოლიანობაში ყველა მეტოქე პატივისცემას და ყურადღებას იმსახურებს."

ალექსანდრე ჩიკაძე (საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი): „ჯგუფში საკმაოდ ძლიერი და თანაბარი ძალის გუნდებია. ჩვენი მიზანი ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე თამაშია, ამიტომ შესაძლებლობების მაქსიმუმი უნდა გამოვავლინოთ."

ოთარ ბაბეული (საქართველოს ნაკრების მეკარეთა მწვრთნელი): „რთული ჯგუფია, სერიოზული მეტოქეები შეგვგვდება. ფავორიტი სამია – საქართველო, რუსეთი, ირლანდია. ჯგუფიდან გასვლის შანსი გვაქვს და იგი დამბალულ ბრძოლებში უნდა მოვიპოვოთ."

მწვრთნელთა და ფეხბურთელთა აზრის მოსმენის შემდეგ, ჩვენი ნაკრების მეტოქეებთან ჩატარებული მატჩების სტატისტიკაც გავიხსენოთ. საქართველოს ნაკრებს ირლანდიასთან, შვეიცარიასთან საეთრთდ არ უთამაშია. ერთხელ, 1998 წლის მაისში ამხანაგურ მატჩში ვუმასპინძეთ რუსეთის ნაკრებს და ფრეს მივაღწიეთ. იმ შეხვედრაში მონაწილე ფეხბურთელების უმეტესობა, წლეულს თუ არა, გაისად ისევ შეიძლება შეხვდეს ერთმანეთს უკვე ოფიციალურ მატჩში.

ქართველები ყველაზე მეტჯერ – 5-ჯერ ალბანეთს ეთამაშნენ, „ევრო 96"-ის და 2000-ის შესარჩევ ეტაპებზე და მალტის საერთაშორისო ტურნირზე. ხუთი შეხვედრიდან მოვიგეთ ოთხი, და ერთში დაფრეს ხდებოდნ. ბურთების შეფარდება 8-2, ჩვენი გუნდის სასარგებლოდ. პირველ ორ გამარჯვებას საქართველოს ნაკრებმა ალბანელებთან, სწორედ რომ ჩიკაძის ხელმძღვანელობით მიაღწია, 1994 წლის 14 დეკემბერს ტირანაში და 1995 წლის 26 აპრილს თბილისში. გასვლითი მატჩი 1-0, სპასსუხო კი 2-0 მოგებეთ. გოლები, ორი – შოთა არველაძემ და ქეცნაიამ გაიტანა. მერე იყო მალტის ტურნირი, იქ 3-0 დავამარცხეთ მეტოქე (ქეცნაია, იაშვილი, ყაველაშვილი).

1998 წლის თებერვლის შემდეგ, იმავე წელს სექტემბერში, ვლადიმერ გუცაევის გაწვრთნილმა გუნდმა მეორედ მოუკო ალბანელებს, ამჯერად თბილისში 1-0 (არჩილ არველაძე). ერთადერთ სარეკვნში ბალანსებს ალბანელებმა 1999 წლის ოქტომბერში მიაღწიეს და ტირანაში 2-1 დაამარცხეს ქართველები. ჩვენებიდან გოლი შოთა არველაძემ გაიტანა.

რუსეთთან ბამბოფული მატჩის სტატისტიკა ასეთია: საქართველო – რუსეთი 1-1. 30 მაისი. 1998 წელი. თბილისი. ბორის პაიტაძის სახელობის ეროვნული სტადიონი. 75.000 მაყურებელი.

მსაჯები: ტ. სულეიმანოვი, ს. გაჯიევი, ერ. ახმედოვ (ყველა – აზერბაიჯანი).

საქართველო: ტოგონიძე, სილაგაძე, ცხადაძე, ბახოკიძე (ა. არველაძე 75), შეყილაძე, ზ. ჯანაშია (ნალაძე 70), ნემსაძე (დიდვაი 16), ჯამბარული, კობიაშვილი, ქინქლაძე (ცქიტაშელი 82), შ. არველაძე.

რუსეთი: ოვჩინნიკოვი, ხლესტოვი, კოკუტინი (ბოზუნკოვი 62), ჩუკანოვი, სემაკი (გორშკოვი 88), ვარლამოვი (ციმპალარი 57), ოხოკოო, ალენინეკი, ბესსმერტნიხი (რადიმოვი 46), ტიხონოვი (ბაგაევი 80), სიმუტენკოვი (ზუკაო 66).

გოლები: 0-1 სიმუტენკოვი (11), ზ. ჯანაშია (19).

გაფრთხილეს: დიდვაი, სიმუტენკოვი, ტოგონიძე, ოხოკოო, სემაკი, რადიმოვი.

მწვრთნელები: ვლადიმერ გუცაევი (საქართველო), ბორის იგნატიევი (რუსეთი).

ლევან ფორდანია

ხანგრძლივი ავადმყოფობის შედეგად გარდაიცვალა, ქართული ფეხბურთის გენერალთა რიგებს გამოაკლდა ერთ ერთი ცნობილი პიროვნება ლევან ფორდანია.

დაიბადა 1935 წლის 30 სექტემბერს. საფეხბურთო კარიერის განმავლობაში, რამდენიმე კლუბის ღირსებას იცავდა და თავისი ოსტატობით ამარტდა მრავალრიცხოვან გულშემატკივრებს. 50-60-იან წლებში თამაშობდა ქუთაისის „ლოკომოტივში", ბათუმის „დინამოში", ლანჩხუთის „გურიაში", 1960 წელს თბილისს „დინამოში", 1962-64 წლებში ქუთაისის „ტორპედოში". საბჭოთა კავშირის ჩემპიონატების უმაღლეს ლიგაში ჩაატარა 24 მატჩი (13 „დინამოში", გაიტანა 5 გოლი), (ტორპედოში — 11, გაიტანა 3 გოლი).

ლევან ფორდანია გამორჩეული თვისებებით შემკული პიროვნება იყო, მუდამ სიკეთეს და სითბოს უწოლადებდა ყველას, ვისთანაც კი უტიერთობა ჰქონდა. შესანშნავი კაცი, ოჯახისა და მეგობრების მოსიყვარულე, დაკაცდა არამარტო ახლოლბეს, არამედ მოლიანად საზოგადოებრიობას, ქართული ფეხბურთის სამყაროს.

მსუბუქი იყოს ლევან, შენთვის შობლიაური მიწა! შენი სახელი დაგიწყებას არასდეს მიეცემა ქართული ფეხბურთის ისტორიაში და ჩვენს გულებში.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია,
ეროვნული ფეხბურთელთა კავშირი,
ფეხბურთის მუშაკთა კრებული.

ბანაფშიდი 29.01-30.01 16 საათზე
მისამართი: ლისაოვის, 54
გამოქვეყნებულ 31 ინფორმაციიდან
წმინდა 5.8-ბის ოლიმპიადან
ქოგეკოვის 37

თანამეგობრობის თასი ქიევშია

ქიევის „დინამომ" დაარღვია „სპარტაკის" სამწლიანი ეგეგმონია თანამეგობრობის თასის გათამაშებაში. საინტერესო უხვგოლიანი მატჩი 4-3 მოგო და თასი შინ წაიღო. ნიშანდობლივია, რომ ათი ტურნირი მხოლოდ ორმა გუნდმა, მოსკოვის „სპარტაკმა" და ქიევის „დინამომ" მოიგო. რუსებმა ეს ნ-ჯერ შეძლეს, უკრაინელებმა – თხუთეტ.

ყველა შინაული 1993-2002 წწ.

1993 სპარტაკი (რუსეთი) – ბელარუსი (ბელარუსი) 8-0
1994 სპარტაკი (რუსეთი) – ნეფუნი (უზბეკეთი) 7-0
1995 სპარტაკი (რუსეთი) – დინამო (თბილისი, საქართველო) 5-1
1-0 ალხარეი (13), 2-0 აღეანინეი (58), 3-0 მუხამადეევი (61), 3-1 ქინქლაძე (63), 4-1 კეჩინოი (83), 5-1 ტიხონოვი (85)
1996 დინამო (ყიევი, უკრაინა) – სპარტაკ-ალანია (რუსეთი) 1-0
1997 დინამო (ყიევი, უკრაინა) – სპარტაკი (რუსეთი) 3-2
1998 დინამო (ყიევი, უკრაინა – სპარტაკი (რუსეთი) 1-0
1999 სპარტაკი (რუსეთი) – დინამო (ყიევი, უკრაინა) 2-1
2000 სპარტაკი (რუსეთი) – ზიმბრუ (მოლდოვა) 3-0
2001 სპარტაკი (რუსეთი) – სკონტო (ლატვია) 2-1 დ.დ.
2002 დინამო (უკრაინა) – სპარტაკი (რუსეთი) 4-3
0-1 ცოხ მეიხერუკი (4), 1-1 ხაცკევიჩი (7), 1-2 დანიშევსკი (43), 2-2 ალეკი (45), 3-2 ბელკევიჩი (63), 4-2 იდეხორი (84), 4-3 სიროკინი (86).

ავთანდილ ჭკუასელი – თავისებური ფეხბურთელი

თუკი სიტყვა ჩამოვარდება ბუნების მომადლებულ ნიჭით დაჯილდოებულ ფეხბურთელებზე, პირველ რიგში, ქართველთა შორის, უნდა მოვიხსენიოთ ჯანსელი საუკუნის შუა წლების თბილისის „დინამოს“ ფორვარდი – ავთანდილ ჭკუასელი. საუცხოო დრიბლინგი, ვუმბარსებური დარტყმა, მოეგნის ხედვა – აი, რა თვისებებით გაიცნო იგი თბილისის „დინამოს“ სტადიონზე იმნაირად შეკრებილმა მაყურებელმა. ავთანდილ ჭკუასელი ცნობილი 35-ე საფეხბურთო სეზონიდან 1950 წელს მოვიდა თბილისის „დინამოში“. მაშინ იგი 20 წლისაც არ იყო. ეს ის პერიოდია, თბილისის „დინამოში“ უფროსი მწვრთნელი ალექსანდრე სოკოლოვი მოსკოვიდან მოწვეულმა მიხეილ იაკუშინმა რომ შეიცვალა. „ველაკი მიხეი“ – აღფრთოვანებული იყო ახალგაზრდა ფორვარდის მეტად ბაგეფული თამაშით, და ხშირად გამოჰყავდა გუნდის ძირითად შემადგენლობაში, სადაც ოსტატობას ხვეწდა ქართული ფეხბურთის ისეთი გრანდების გვერდით, როგორიც გახლდათ გუნდის ხერხემალი და მთავარი დამრეკელი ძალა – ავთანდილ ღოღობერიძე, კომბინაციური სტილის კარლო გაგნიძე, დაუღალავი გიორგი ანთაძე და მიხეილ ჯოჯუა, ასევე შესანიშნავი ფორვარდი ანდრო ზაზროშვილი, რომელსაც მაისური მეცხრე ნომრით, თვით „ფეხბურთის კარუზომ“ ბორის პაიჭაძემ დაულოცა. ავთანდილ ჭკუასელი, მომდევნო 1952 წლის საფეხბურთო სეზონში, თბილისის „დინამოს“ ბომბარდირაც ძოვლინა 7 გატანილი გოლით. აღსანიშნავია, რომ ამ წელიწადს საბჭოთა კავშირის ნაკრებს ჰელსინკი ოლიმპიურ თამაშებზე დებიუტი ჰქონდა და საბჭოთა კავშირის პირველობის მონაწილეა ველა გუნდმა ასპარეზობა ერთ წრედ მოსკოვში გამართა. სწორედ ამ ჩემპიონატზე დაადგეს თვალი საბჭოთა კავშირის ნაკრების იმდროინდელმა მწვრთნელებმა ახალგაზრდა ავთანდილ ჭკუასელს. ამას თან ერთვოდა თბილისის „დინამოს“ უფროსი მწვრთნელის მიხეილ იაკუშინის რეკომენდაციაც და ავთანდილ ჭკუასელი სსრ კავშირის პირველი ნაკრების შემადგენლობაში შეიყვანეს თბილისელთა გუნდის კაპიტან ავთანდილ ღოღობერიძესთან, გიორგი ანთაძესთან და მეკარე ელადიმერ მარღანიასთან ერთად. ამ დრის ნაკრების საბაზო გუნდს მოსკოვის ცსკა წარმოადგენდა. ჰელსინკის ოლიმპიურ თამაშებზე 3 მატჩი ითამაშა ნაკრების შემადგენლობაში ავთანდილ ღოღობერიძემ, ხოლო მისი სეხნია ავთანდილ ჭკუასელი ერთხელ გამოვიდა მოედანზე.უფროსლაკეთის ნაკრების წინააღმდეგ. ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული მატჩი საბჭოთა ფეხბურთის ისტორიაში, როდესაც გუნდის წარმატებლობა, ათასგვარი თითოდან გამოწოვილი ბრალდებით, ავთანდილ ჭკუასელს დაბრალეს. საქმე იქამდეც მივიდა, რუსეთის არცოდნაშიც დადეს ბრალი, თუმცა, უმჯობესია მოვუსმინოთ თავად ავთანდილ ჭკუასელს:

„ცხადია დისციპლინის დაცვის დონეზე რუსულ მე კი არა, თვით რუსი ფეხბურთელებიც ვერ ფლობდნენ, მაგრამ იმდენი რუსული კი ვიცოდი, ბურთის მოთხოვნაზე გამოსული რუსი ფეხბურთელისთვის ასი მამეცა“. სამშობლოში დაბრუნებული საბჭოთა ნაკრების საბაზო გუნდი ცსკა დაშალეს და საბჭოთა ნაკრებსაც ეკრძალა საერთაშორისო რანგის მატჩებში მონაწილეობა. 1952 წლის საფეხბურთო სეზონში ცსკას მაჩეკებლები შესაბამისად გაა-ულმეს. არც 1953 წლის საფეხბურთო სეზონში უხლავს მაყურებელს განთქმულ არმიელთა გუნდი, რომელიც ამ დროსათვის საბჭოთა კავშირის 4-ჯზის ჩემპიონი, და ორჯერ მეორე პრიზიორი იყო. ავთანდილ ჭკუასელი განაგრძობდა თბილისის „დინამოში“ თამაშს, კიდევ უფრო ხვეწდა ოსტატობას და მაყურებლის ერთ-ერთი სათაყვანო კერპიც გახდა. მისმა კარიერამ აკოგეას 1956 წლის საფეხბურთო სეზონში მიაღწია, როდესაც გუნდის ბომბარდირი გახდა 11 გატანილი გოლით.

მეორე ადგილზე მყოფ ბორის ხასაიას აქვნია 9 ბურთი იყო. სწორედ ამ პერიოდს მიეკუთვნება ავთანდილ ჭკუასელის ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი მოსკოვის ტორპედოსთან, რომელიც თბილისის „დინამოში“ მისი გატანილი ორი ბურთის წყალობით მოიგო. მაყურებელთა გადაჭეშდილ „დინამოს“ სტადიონზე მას საუკეთესო მოთამაშისთვის დაწესებული სამახსოვრო სარუქარი – „ოქროს საათი“ გადასცეს.

„ავთანდილ ჭკუასელი 27 წლისა გამოვთხოვა დიდ ფეხბურთს. შედარებისთვის ვიტყვით, რომ ლეონიდოვი სტენი მეტიუნი 54 წლისა ჩავიდა საფეხბურთო არენიდან. აი, რა განაცხადა იმჟამინდელ ერთ-ერთ ინტერვიუში ავთანდილ ჭკუასელმა: „ეტიუნი რეკომენდი სპორტსმენის ეტალონი იყო. იმ ხანებში, ჩვენ უფრო ბუნებრივი მონაცემების იმედით ვიყავით და მაინცდამაინც დიდ ყურადღებას არ ვაქცევდით მკაცრ საწვრთნელ რეჟიმს. სწორედ ამან დაასება დადი ჩემს სპორტულ კარიერას“.

ავთანდილ ჭკუასელი დიდი ხნის განმავლობაში ხელმძღვანელობდა საქართველოს ! ორკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს. თავისი მოღვაწეობის ამ პერიოდში იგი აღნიშნავდა, რომ ფეხბურთი დღითიდღე იცვლება, უფრო მკაცრი და რაციონალური ხდება, რომ ფეხბურთი არ არის გასწრებაზე სირბილი. ესაა აზრისა და ნების ჭიდილი.

ავთანდილ ჭკუასელი დიდად აფასებდა გარემარბების როლს ფეხბურთში და აღნიშნავდა, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის და არგენტინის ნაკრებთა წარმატებები სწორედ გარემარბებმა გრაბოვსკიმ და ბერტინიმ განაპირობეს მსოფლიო ჩემპიონატებზე. ათი სეზონი ითამაშა თბილისის „დინამოში“ ავთანდილ ჭკუასელმა და 88 კალენდარულ მატჩში მიიღო მონაწილეობა, გაიტანა 29 გოლი. იგი ერთნაირი წარმატებით გამოდიოდა, როგორც გარემარბის, ისე ცენტრალური თავდამსხმელის, თუ ფსნაიფის ამმაღლებაში. მრავალ სათამაო და საერთაშორისო ამხანაგურ მატჩებშიც მიუღია მონაწილეობა. ასე რომ, შეხვედრათა რაოდენობა სამნაშნა ციფრს გადააჭარბებს, ხოლო გატანილი ბურთების რაოდენობა 50-ს მიდწეულს. ავთანდილ ჭკუასელის საფეხბურთო კარიერა, ისე როგორც ფეხბურთის ყველა ვარსკვლავისა, არ ყოფილა იოვარდი მოფენილი. საუცხოოდ ჩატარებულ მატჩებს უნიათო გამოსვლებიც სდევდა. სწორედ ამ გარემოების გამო უწოდა მას საკავშირო სპორტულმა პრესამ – „გუნებაბანწყობის ფეხბურთელი“. სპორტული კარიერის მიწურულს, მისი ოსტატობა რამდენადმე გაუფერულდა. 1958, 1959 წლის საფეხბურთო სეზონში მას ბურთი არ გაუტანია... თუმცა ამის შესაძლებლობა მიეცა 1959 წლის 2 მაისს მოსკოვში „ლოკომოტივთან“ შეხვედრაში, როდესაც მაპპინმელთა კარში დანიშნული პენალტი დიდი მანძილით აცილება მეტოძის კარს, რამაც ტრაბუნებზე დიდი სიცილ-ხარხარი გამოიწვია. ამით იგი საბოლოოდ გამოემშვიდობა მშობლიურ „დინამოს“. მიუხედავად ყოველივე ზემოაღნიშნულისა ქართველ ფეხბურთის მოყვარულთა მეხსიერებაში ავთანდილ ჭკუასელი დარჩება როგორც საკუთარი ხელწერის თვითმყოფადი ფეხბურთელი.

ჯემერ ტორაძე

P.S. წინამდებარე საგაზეთო წერილი მომზადებული იყო ავთანდილ ჭკუასელის 70 წლისთავის თუბილეკსთან დაკავშირებით, მაგრამ მისი გამოქვეყნება არ მოხერხდა ავტორის მიერ წერილის რედაქციისადმი დროულად მიუწოდებლობის გამო. მოვკავრნენ ფეხბურთის მოყვარულებს, რომ ავთანდილ ჭკუასელი 1931 წელს დაიბადა და გასულ წელს, 70 წლისა გახდებოდა. კარგი იქნება თუ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მხარდაჭერით, ასეთ ღირსშესანიშნავ თარიღებთან დაკავშირებით მოწყობა ვეტერან ფეხბურთელთა მატჩები – არა მარტო თბ...ისში, არამედ რესპუბლიკის სხვა საფეხბურთო რეგიონებ...ში– ამით დიდ პატ...ს მივაგებთ ღირსეულ ფეხბურთელებს ხსოვნას.

ბავშვთა ფეხბურთი

ჯერ ექვსი თვისაც არა ვარ....

ალბერტ ბაკოიანის ფოტო

ზაზა ფოტოზე ალბეჭდილია 1994 წლიანთა „ნორჩი დინამო“, რომლის მწვრთნელთა ბავშვთა ფეხბურთის გამოჩენილი სპეციალისტი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი თემურ თავლეჩრელიძე. ამ გუნდის სრულ შემადგენლობაში შედიან: მ. ჯავახიშვილი, გ. ასლამაზიშვილი, ნ. მაგრაქველიძე, გ. გოროზია, ი. ლერკენაშვილი, ლ. კვარაცხელია, ს. ჭითვარია, ნ. ხომერიკი, ნ. კოპაძე, დ. მთიფლიშვილი, დ. ქალაიშვილი, ზ. ქეშელაშვილი, ნ. ყარყარაშვილი, ფ. გვიშიანი, ლ. სამხარაძე, ნ. ცხომელიძე, მ. გილეგაშვილი, დ. უბილავა, შ. დავლაშერიძე, ნ. ზარიძე, გ. მაჭავარიანი, და გ. ოქანიშვილი მარშან ორი ტურნირი მოიგეს და ახალი წლის სეზონიც წარმატებით დაიწყეს.

ძვირა ფოტოზე: ტურნირის მეორე პრიზიორი „მორკინალი“. I რიგში (მარცხნიდან): დ. დარციმელია, დ. მაჭარაშვილი, ბ. მათთათაშვილი, გ. კაპანაძე, რ. მუხიგულაშვილი, II რიგში: რ. ცაბაძე, ზ. ზიბზიბაძე, მ. მეტრეველი, რ. ჩიტაშვილი, გ. ხომერიკი, ბ. მეტრეველი, მწვრთნელი მერაბ ბილაშვილთან ერთად.

თამილ ცაბაძის ფოტო

გაპარჯვებული და პრიზიორები 1993-იანებში

ალბერტ ბაკოიანის ფოტოები

მეორე პრიზიორი – „ავაზა-I“

მიხეილ მესხის დაბადებიდან 65 წლისთავისადმი მიძღვნილი ტურნირის შედეგები „ლელოს“ გააშუქა. დღეს გაგაცნობთ 1993 წლიანების შორის გამარჯვებულს და პრიზიორებს. აქვე დავძენთ, რომ ტურნირში ამ ასაკში 10 გუნდი ჩაება. ქვეჯგუფებში გამარჯვებული „დინამო“ და „ავაზა-I“ ერთმანეთს ფინალში დაუპირისპირდნენ. დაძაბულ მატჩში გამარჯვება დინამოელებს დარჩათ 5-4. გუნდის მწვრთნელი გორა ხიტირი, მეორე ადგილზე გასულის – ანზორ ზუკაკიშვილი.

მესამე პრიზიორი – „ავაზა-3“

მესამე ადგილისთვის ბრძოლაში „ავაზა-3“ შეხვდა ვაკის თანატოლებს. ავაზელებმა გაიმარჯვეს 2-0 (მწვრთნელი გივი ქობულაშვილი).

ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელი გახდა ანიკო კალანდია („ავაზა-I“). შეგახსენებთ, რომ ტურნირი „ოლიმპიური მზადების ცენტრის“ (დირექტორი გიორგი უდვსიანი) მიერ იყო ორგანიზებული.

ჩემპიონატები, მატჩები, შედეგები

გერმანია

შალკე — ბაიერნი 5-1
1-0 მეფზა (35), 2-0 ანდი (36), 2-1 შოლი (49), 3-1 მეფე (54), 4-1 ვან ჰოგ

ავსტრალიის ღია ჩემპიონატი

ჯენიფერ კაპრიატი – ზედიზედ მეორედ

ძალები

ამერიკელმა ჩოგბურთელმა ჯენიფერ კაპრიატიმ ზედიზედ მეორედ მოიგო ავსტრალიის ღია ჩემპიონატი, მან ფინალში სძლია შვეიცარიელ მარტინა ჰინგისს. პირველ პარტიაში დაწინაურდა შვეიცარიელი ჩოგბურთელი 5-1, ამის შემდეგ კაპრიატიმ შეძლო ზედიზედ სამი სეტის მოგება, მაგრამ სამოციო პირველ პარტიაში იმარჯვა ჰინგისმა 6-4. მეორე პარტიაში დასაწყისში დაწინაურდა ჰინგისი 4-0, მაგრამ კაპრიატიმ შეძლო ძნელი მდგომარეობიდან გამოსვლა და ტაიბრეიკზე იმარჯვა 7-6. მესამე პარტიაში ფუტტურად ბრძოლა არც ყოფილა, იგრძნობოდა ამერიკელის უეცარი ფიზიკური მომზადება (რომელიც ასე აუცილებელი იყო იმ ატუტნელ სიცხეში, როცა ტემპერატურა ჩრდილში იყო (+38) და ის, რომ ჰინგისს ჯერ კიდევ ბოლომდე არ ჰქონდა ტრავმა მოშუშებული. პარტიის დასაწყისში, ისევე როგორც პირველ ორ პარტიაში, დაწინაურდა ჰინგისი 2-1, მაგრამ კაპრიატიმ შეძლო ზედიზედ 5 გეიმის მოგება და ანგარიში გახდა 6-2. ეს კი იმის ნიშანია, რომ ჯენიფერ კაპრიატიმ ზედიზედ მეორედ იმარჯვა ავსტრალიის ღია პირველობაზე. ხოლო, რაც შეეხება მარტინა ჰინგისს, მან ზედიზედ მესამედ დათმო ავსტრალიის ღია ჩემპიონატის ფინალი: 2000 წელს მას მოუგო ასევე ამერიკელმა ლინდსეი დევენპორტმა, ხოლო 2001 და 2002 წლებში კი ჯენიფერ კაპრიატიმ.

ჯენიფერ კაპრიატი (აშშ, 1) — მარტინა ჰინგისი (შვეიცარია, 3) 4-6, 7-6, 6-2

ვაძები

ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ რუსი მარატ საფინი და შვეიცარიელი ოლივიერ ელანმანიანი ის. ფაქტი, რომ ფინალის დღეს საფინს დაბადების დღე ჰქონდა, მან 22 წელი შეესრულდა. ფინალური შეხვედრა გრძელდებოდა 2 საათსა და 53 წუთს, პირველ პარტიაში იგრძნობოდა საფინის უპირატესობა, რაც, ანგარიშშიც ისახა 6:3. გაიმარჯვა რუსმა ჩოგბურთელმა. მეორე პარტიიდან მოყოლებული შვედმა ჩოგბურთელმა შეძლო გარდატეხის შეტანა მატჩში, მან მეორე და მესამე პარტიები მოიგო ერთნაირი ანგარიშით 6-4. მეოთხე პარტიაში, რომელიც მძაფრ ბრძოლაში მიმდინარეობდა, შვედმა შეძლო ტაიმ-ბრეიკზე გამარჯვების მოპოვება და მოლიანად მატჩის მოგება. ოლივიერ პირველად გახდა „დიდი შლემის" ტურნირის გამარჯვებული.

ტომას ოლანსონი (შვედეთი, 16) — მარატ საფინი (რუსეთი, 9) 9-6, 6-4, 6-4, 7-6.

ჯენიფერ კაპრიატი

ოლანსონი

ფეხბურთი

აფრიკის ეროვნებათა თასი

დასრულდა აფრიკის ეროვნებათა თასის ჭაუფური ეტაპის მეორე ტური, რომელმაც დაახასიელა 2 მეოთხედფინალისტი: კამერუნისა და სენეგალის ნაკრებები.

A ჯგუფი:

მალი — ნიგერია 0-0
ლიბერია — ალჟირი 2-2

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ჭ.
ნიგერია	2	1	1	0	1-0	4
ლიბერია	2	0	2	0	3-3	2
მალი	2	0	2	0	1-1	2
ალჟირი	2	0	1	1	2-3	1

ბოლო ტური: მალი — ალჟირი და ლიბერია — ნიგერია.

B ჯგუფი:

სამხრეთ აფრიკა — განა 0-0
ბურკინა ფასო — მაროკო 1-2

მაროკო	2	1	1	0	2-1	4
სამხ. აფრიკა	2	0	2	0	0-0	2
განა	2	0	2	0	0-0	2
ბურკინა ფასო	2	0	1	1	1-2	1

ბოლო ტური:

29 იანვარი: სამხ. აფრიკა — მაროკო
ბურკინა ფასო — განა

C ჯგუფი:

კამერუნი — კოტ დივუარი 1-0
დრ. კონგო — ტოგო 0-0

კამერუნი	2	2	0	0	2-0	6
ტოგო	2	0	2	0	0-0	2
კოტ დივუარი	2	0	1	1	0-1	1
დრ. კონგო	2	0	1	1	0-1	1

ბოლო ტური:
29 იანვარი:
კამერუნი — ტოგო
დრ. კონგო — კოტ დივუარი

D ჯგუფი:

ეგვიპტე — ტუნისი 1-0
სენეგალი — ზამბია 1-0

სენეგალი	2	2	0	0	2-0	6
ეგვიპტე	2	1	0	1	1-1	3
ტუნისი	2	0	1	1	0-1	1
ზამბია	2	0	1	1	0-1	1

ბოლო ტური:
31 იანვარი:
ეგვიპტე — ზამბია
სენეგალი — ტუნისი

გურამ ჯერვალიძე

ორ დღეში კიდევ ერთ ვეტერანს, ყოფილ ხელბურთელს მიბაძარებს საქართველოს მიწა. ორმოცდაშეკრამეტე დაბადების დღეს აღესრულა სულითა და ხორცით პატრიოტი ქართველი, ეთისეისაც საშობლოს სიყვარული მარტო ლაშაზე სიტყვები და სადღეგრძელოები არ იყო. გურამ ჯერვალიძემ მთელი თავისი ცხოვრება საქართველოს აღმშენებლობას უძღვნა.

სულითა და ხორცით სპორტსმენმა, ბოლოამდე შეერთნაჩუნა სპორტული ეთნი მიუღწეველის მიღწევისა, სიკეთეში პირველობისა, საშვილიშვილო საქმეებში ლიდერობისა. გურამს არ ახასიათებდა საქმის სახვალიოდ გადადება და სანანეგროდ ეკოება.

ჯერ კიდევ მაშინ, როცა ახალგაზრდული ტურნირების ორგანიზაციას ედგა სათავეში, ყველასათვის გასაკვირელი შრომისმოყვარეობითა და ცოდნით უზრუნველყოფდა მოზარდ თაობაში ასე პოპულარული შეჯიბრებების უნაკლოდ ჩატარებას.

ალბათ სწორედ ეს გახდა საფუძველი იმისა, რომ 1973 წელს გურამ ჯერვალიძე საერთაშორისო ახალგაზრდული ცენტრის „ოქროს საწმისის" დირექტორად დანიშნეს, სადაც გურამმა ამ ცენტრის ფუნქციონირების ბოლო დღემდე იმუშავა. უნდა ითქვას, რომ სწორედ მისი დამსახურებაა, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ტურიზმის ობიექტებს შორის, „ოქროს საწმისი" ყველაზე პოპულარული იყო და ალბათ ამითაც გურამს, პრაქტიკულად, მთელ მსოფლიოში იცნობდნენ.

მას ჰქონდა უდიდესი ნიჭი ადამიანების ურთიერთდაახლოებისა. სამეგობროს დიდი წრის შემქმნელი და შემდოგდაბებელი, ყველას ჯირაოსუფალი, ლხინის მოზიარე, გაჭირვებულთათვის ხელის გამმართველი, ავადმყოფოთათვის მალამი და იმედი იყო.

თითქმის ხუთი წელი ებრძოდა სიკვდილს. ისევ სპორტულმა ენერგიამ და სიცოცხლის დიდმა სიყვარულმა გაადლებინა ამდენ ხანს. გაადლებინა გულმა, რომელშიც ამდენი სიყვარულის მოთავსება შეეძლო.

ნათელი დაადგეს მის ხსოვნას.

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი, საქართველოს ხელბურთის ფედერაცია, მეგობრები.

ევროპის ჩემპიონატი

ინგლისი • ნორვეგია 3:1 (2:0)

A ჯგუფი

ლატვია — თურქეთი 100:62
შვეიცარია — პოლანდია 81:64
ბულგარეთი — უკრაინა 109:86

	თ.	მ.	ფ.	ბ.	ჭ.
ლატვია	5	4	1	475-358	9
თურქეთი	5	4	1	385-372	9
ბულგარეთი	5	3	2	454-438	8
უკრაინა	5	3	2	395-401	8
შვეიცარია	5	1	4	326-384	6
ჰოლანდია	5	0	5	358-440	5

B ჯგუფი

სპერმენეთი — ესპანეთი 86:73
რუმინეთი — ისრაელი 56:77
დანია — ბელგია 60:73

სპერმენეთი	5	5	0	443-318	10
ესპანეთი	5	4	1	425-341	9
ისრაელი	5	3	2	383-365	8
რუმინეთი	5	2	3	318-398	7
ბელგია	5	1	4	323-375	6
დანია	5	0	5	342-437	5

C ჯგუფი

კვიპროსი — მაკედონია 63:93
ირლანდია — ბოსნია 74:59
ხორვატია — გერმანია 71:78

ირლანდია	5	4	1	409-369	9
ხორვატია	5	4	1	425-352	9
ირლანდია	5	3	2	376-357	8
მაკედონია	5	2	3	408-401	7
ბოსნია	5	2	3	392-399	7
კვიპროსი	5	0	5	307-439	5

D ჯგუფი

ლიტვა — საფრანგეთი 81:87
უნგრეთი — ესტონეთი 94:71
ბელარუსი — პოლონეთი 78:67

საფრანგეთი	5	4	1	390-348	9
ლიტვა	5	3	2	459-436	8
უნგრეთი	5	3	2	424-398	8
ესტონეთი	5	2	3	402-405	7
პოლონეთი	5	2	3	425-443	7
ბელარუსი	5	1	4	350-420	6

E ჯგუფი

იტალია — რუსეთი 86:66
პორტუგალია — ინგლისი 74:70
ჩეხეთი — სლოვენია 71:70

იტალია	5	5	0	433-353	9
რუსეთი	5	4	1	433-355	9
სლოვენია	5	2	3	364-375	7
ჩეხეთი	5	2	3	386-412	7
ინგლისი	5	2	3	344-397	7
პორტუგალია	5	1	4	346-414	6

ზნეობელმოვანი სპორტული გადაცემები

29 იანვარი, პარასკევი

საქართველოს ტელევიზია. I არხი. ჩვენი ფეხბურთი (22.00). *ეკრანი.* „მსოფლიო სპორტი" (10.45, 20.00). *მე-9 არხი.* „მსოფლიო ფეხბურთი" (12.30), ევროპის სტადიონებზე (20.00). *EUROSPORT.* ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა (11.30). ფეხბურთი: იტალია ეროვნებათა თასი 13.00, 18.00, 20.00, 22.00, 3.15), ევროფოლები (15.00), კრიკეტი. საერთაშორისო შეჯიბრება (0.00). *HTB პლუს ფუთბალ.* გერმანიის (15.30), ესპანეთის (21.30) ჩემპიონატების მიმოხილვა. მსოფლიო ფეხბურთი (18.15). ჩემპიონთა ლიგის ახალი სტატიის წინ: „სპარტაკი" – „სპარტა" (22.45), *HTB პლუს სპორტ.* კიკბოქსინგი. პროფესიონალთა მატჩი (12.15). წრფელი ავტორბილოი. მსოფლიო ჩემპიონატი (13.00), ტალანსფერი ერიკე (15.05), ბილიარდის მეფეები (19.15). ხელბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ფიგები (20.55), ოოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა (0.00).

30 იანვარი, ოთხშაბათი

საქართველოს ტელევიზია. I არხი. ჩვენი ფეხბურთი (10.35). *ეკრანი.* „მსოფლიო სპორტი" (10.45, 22.30). *მე-9 არხი.* ევროპის სტადიონებზე (20.00). *EUROSPORT.* ფეხბურთი: ევროფოლები (11.30), აფრიკის ეროვნებათა თასი (13.00, 15.30, 20.00, 22.00). *HTB პლუს ფუთბალ.* ესპანეთის (15.20), გერმანიის (18.00), იტალიის (21.25) ჩემპიონატების მიმოხილვა. ჩემპიონთა ლიგის ახალი სტატის წინ: „სპარტაკი" – „სპარტა" (16.20). ბუნები: კიევის „დინამო" (23.05), ინგლისის ჩემპიონატი. „ჩელსი" – „ლიდსი" (23.55). *HTB პლუს სპორტ.* ბილიარდის მეფეები (15.15), ხელბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ვიეკეი (15.45), 20.55), ზამბრის ოლიმპიური თამაშების ისტორია. ინსბრუკი-1964 წელი (20.00).

31 იანვარი, ხუთშაბათი

საქართველოს ტელევიზია. არხი-თაფი 2 ევროპის ქვეყნების საფეხურო მიმოხილვა (19.00), *ეკრანი.* „მსოფლიო სპორტი" (10.45, 20.00). *მე-9 არხი.* ევროპის სტადიონებზე (14.40), *EUROSPORT.* ზამბრის სპორტის სახეობები. მსოფლიო თასი (15.00, 23.00, 23.30), ფეხბურთი. აფრიკის ეროვნებათა თასი (15.30, 20.00, 2.15), კრიკეი. საერთაშორისო შეჯიბრება (0.30). ფეხბურთი „ერთი მსოფლიო — ერთი თასი" (1.30). *HTB პლუს ფუთბალ.* ინგლისის ჩემპიონატი. „ჩელსი" — „ლიდსი" (13.15), იტალიის (15.00), ესპანეთის (18.00), ჩემპიონატების მიმოხილვა. ჩემპიონთა ლიგის ახალი სტატიის წინ (19.30, 23.05), მსოფლიო ფეხბურთი (22.20), *HTB პლუს სპორტ.* ხელბურთი. ევროპის ჩემპიონატი (11.45, 22.55), ალეადბურთი: ნაბა მიმოხილვა (20.30), ეკრონლეიგა (21.00, 1.15).

ჩოგბურთი

ავსტრალიის ღია პირველობა. ქალთა ერთეული

A ჯგუფი

ლატვია — ბელგია 81:64
ესპანეთი — ბულგარეთი 109:86

ლატვია	5	4	1	475-358	9
ესპანეთი	5	4	1	385-372	9
ბულგარეთი	5	3	2	454-438	8
ბელგია	5	3	2	395-401	8
ესპანეთი	5	1	4	326-384	6
ბულგარეთი	5	0	5	358-440	5

B ჯგუფი

ინგლისი — ბელგია 86:73
ბელგია — ინგლისი 56:77
ინგლისი — ბულგარეთი 60:73

ინგლისი	5	5	0	443-318	10
ბელგია	5	4	1	425-341	9
ბულგარეთი	5	3	2	383-365	8
ინგლისი	5	2	3	318-398	7
ბელგია	5	1	4	323-375	6
ბულგარეთი	5	0	5	342-437	5

C ჯგუფი

ბელგია — ბულგარეთი 63:93
ბელგია — ბულგარეთი 74:59
ბულგარეთი — ბელგია 71:78

ბელგია	5	4	1	409-369	9
ბულგარეთი	5	4	1	425-352	9
ბელგია	5	3	2	376-357	8
ბულგარეთი	5	2	3	408-401	7
ბელგია	5	2	3	392-399	7
ბულგარეთი	5	0	5	307-439	5

D ჯგუფი

ბელგია — ბულგარეთი 81:87
ბულგარეთი — ბელგია 94:71
ბელგია — ბულგარეთი 78:67

ბულგარეთი	5	4	1	390-348	9
ბელგია	5	3	2	459-436	8
ბულგარეთი	5	3	2	424-398	8
ბელგია	5	2	3	402-405	7
ბულგარეთი	5	2	3	425-443	7
ბელგია	5	1	4	350-420	6

E ჯგუფი

ბელგია — ბულგარეთი 86:66
ბულგარეთი — ბელგია 74:70
ბელგია — ბულგარეთი 71:70

ბელგია	5	5	0	433-353	9
ბულგარეთი	5	4	1	433-355	9
ბულგარეთი	5	2	3	364-375	7
ბელგია	5	2	3	386-412	7
ბულგარეთი	5	2	3	344-397	7
ბულგარეთი	5	1	4	346-414	6

თქვენ და 2002 წელი ● პროსკოპი

ლომი. 2002 წელი თქვენთვის ფეხბურთიერია. 1990 წლის შემდეგ ოუბიტენი პირველად სწორედ წლეულს ბრუნდება ლომის ზოდიაქოში. ეს მოვლენა კი თქვენზეც დადებითად იმოქმედებს და ყველა შესაძლებლობის გამოყენების შესაძლებლობა მოგეცემათ. წლის პირველ ნახევარში დაბრკოლებები შეგეკმნებათ, მაგრამ ბოლოსაკენ იქონიეთ, არ გაღიზიანდეთ. იცოდეთ, წლის მეორე ნახევარში წარმატებები აუცილებლად იქნება თქვენი თანამდგენი.

პირად ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები ველით — განსაკუთრებით ივნისში. აგვისტოს ბოლოს და სექტემბრის დასაწყისში ყველა წერილმანი თქვენთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას შეიძენს. შეიძლება მოგეწვეთოთ, რომ სხვის მიერ დადგმულ სპექტაკლში მონაწილეობთ. მაგრამ ეს შეგრძნება მალე გაიცლის.

კარიერაში წარმატება მოსალოდნელია მარტსა და აპრილში. შემდეგ თქვენი ენერგია სხვადასხვა მამამთავლებით დაიქსაჭესება, რაც დაწყებული საქმეების დაგვიანებინებაში ხელს შეგიშლით. თუმცა შეიძლება იღბლიანი თავგადასავლებიც გადაგხვდეთ. უფროსიელდით ზედმეტი ძალაუფლებისაკენ სწრაფვის და არ აყვეთ ეკონომესაკუთრულ ეინს, მომხვეჭველობის ქვეშა გრძნობას.



ეროვნულ ნაკრებთა ოლიმპიადა

ეროვნული ნაკრებები ოლიმპიადის ბოლო ადგილზე

ეროვნული ნაკრებებისა და ეროვნული ნაკრებების ოლიმპიადა ბოლოს ჩატარდა 1992 წელს ბარსელონაში. ეს